ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2025 წლის 6 ივნისი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/12/2024წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.140.016555), კერძოდ: დანართის თავი IV-ის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის კოდი 02 01 (საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია) ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

პროგრამის დასახელება	**კოდი**	**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**	**2025 წლის დაფინანსებათას ლარში**
	02 01		**7 150,3**
პროგრამა ს განმახორციელებელი	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნების და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებები) მოწყობას. ასევე გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას და სხვა.		
	საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობით შესაძლებელი იქნება,		

მოსალოდნელი შედეგი	როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტების უსაფრთხო, შეუფერხებელი და სწრაფი გადაადგილება, რაც დადებით ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტს მოუტანს გზით/ქუჩით მოსარგებლე ბენეფიციარებს.

.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკი ბერიძე**